

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
Batumi Art State Teaching University

**სტუდენტთა V საერთაშორისო
კონფერენცია**

20 მაისი

პროგრამა

V International Student Conference

20 May

Program

კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი

- | | |
|-------------------|---|
| მაია ჭიჭილეიშვილი | - რექტორი, პროფესორი, საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი |
| გელა ბერიძე | - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე |
| სოფიო თავაძე | - სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების უფროსი, ასოცირებული პროფესორი |
| სალომე ჩიკაშუა | - სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების სპეციალისტი |
| აკაკი მუხაშავერია | - IT მენეჯერი |

კონფერენციის სამუშაო განრიგი

20 მაისი

- 10.45-11.00 – კონფერენციის გახსნა
- 11.00-12.30 – სექციების მუშაობა
- 12.30-12.45 – შესვენება
- 12.45-14.15 – სექციების მუშაობა
- 14.15-14.30 – შესვენება
- 14.30-16.00 – სექციების მუშაობა
- 16.00-16.15 – კონფერენციის შეჯამება და დახურვა

რეგლამენტი:

მომხსენებელთათვის - 15 წთ.

დისკუსიისათვის - 5 წთ.

საქართველო, ბათუმი, ზურაბ გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. № 19/32

www.batu.edu.ge

info@batu.edu.ge

სექცია: ხელოვნებათმცოდნეობა

11.00-12.30

მოდერატორი: მათა ჭიჭილეიშვილი, პროფესორი

- 1. თათია თოფურია - ბათუმის წმ. ბარბარეს ტაძრის მოხატულობის იდეური გადაწყვეტა.**

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნებათმცოდნეობა“, III კურსი.

ხელმძღვანელი: მათა ჭიჭილეიშვილი, პროფესორი.
- 2. ანა ჯინჭარაძე - ურბანული მემკვიდრეობის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის საკითხისათვის.**

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“, I კურსი.

ხელმძღვანელი: მათა ჭიჭილეიშვილი, პროფესორი.
- 3. მარი ხოზრევანიძე - ბათუმის ბულვარის ქანდაკებები.**

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)“, I კურსი.

ხელმძღვანელი: მათა ჭიჭილეიშვილი, პროფესორი.
- 4. ქეთი დოლიძე - არქიტექტურისა და მუსიკის ურთიერთმიმართების შესახებ.**

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“, II კურსი.

ხელმძღვანელი: რატი ჩიბურდანიძე, პროფესორი.
- 5. თამარ ხვინგია - კოსტიუმის სახეები „ვეფხისტყაოსანში“.**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“, II კურსი.

ხელმძღვანელი: ლია ლურსმანაშვილი, პროფესორი.

სექცია: ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა,

კულტურული ტურიზმი

12.45-14.15

მოდერატორი: რატი ჩიბურდანიძე, პროფესორი

1. **ეკატერინე ყარსელიშვილი - ისლამური ხელოვნების ელემენტები XVIII-XIX საუკუნეების თბილისის საერო ხუროთმოძღვრებაში.**

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. რესტავრაცია/კონსერვაცია, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ახალი და უახლესი ქართული ხელოვნების ისტორია“, II კურსი.

ხელმძღვანელი: სამსონ ლეჟავა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.

2. **ლია შაინიძე - ჰიპერრეალიზმი ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში.**

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)“, I კურსი.

ხელმძღვანელი: რატი ჩიბურდანიძე, პროფესორი.

3. **მაია ასათიანი - ვახტანგ (ბესო) ბესელია და მისი როლი ქართულ მხატვრობაში.**

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. რესტავრაცია/კონსერვაცია, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ახალი და უახლესი ქართული ხელოვნების ისტორია“, I კურსი.

ხელმძღვანელი: ნინო ღაღანიძე, პროფესორი.

4. **მიჰაელა იაკობი - უარყოფითი ქალი პერსონაჟების შეფასება თანამედროვე კინოში.**

ბაბემ-ბოლიაის უნივერსიტეტი. ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ჩინური ენა და ლიტერატურა“, I კურსი.

ხელმძღვანელი: მონიკა ლეფერმანი, მეცნიერებათა კანდიდატი.

5. **აიზატ იმანგაზიევა - კულტურული და ეთნიკური ტურიზმი თანამედროვე ყაზახეთში.**

ტურიზმისა და მასპინძლობის საერთაშორისო უნივერსიტეტი. ტურიზმის ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო და შიდა ტურიზმი“, II კურსი.

ხელმძღვანელი: ნაზიგულ ბატროვა, პროფესორი.

სექცია: თეატრმცოდნეობა, ქორეოლოგია

14.30-16.00

მოდერატორი: თეიმურაზ კეჭერაძე, პროფესორი

- 1. ტამანგო ჯღერია, კახაბერ ბრეგაძე - ქართული პროფესიული სცენოგრაფიის ჩამოყალიბების წინაპირობები (მე-20 საუკუნის 10-იანი წლები).**

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო)“, II კურსი.

ხელმძღვანელი: თეიმურაზ კეჭერაძე, პროფესორი.
- 2. სოფიკო ნადიბაძე - ფსიქოფიზიკური ტექნიკის დახვეწის მეთოდი საშემსრულებლო ხელოვნებაში (ეჟი გროტოვსკის „ღარიბი თეატრისკენ“ მიხედვით).**

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია“ (თეატრმცოდნეობა - თანამედროვე ევროპული თეატრი), I კურსი.

ხელმძღვანელი: მაკა ვასაძე, ასოცირებული პროფესორი.
- 3. ანა სულამანიძე - სხეულის ენით გაცოცხლებული სარა კეინის „აფეთქებული“.**

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „თეატრმცოდნეობა“, II კურსი.

ხელმძღვანელი: მაია კიკნაძე, ასოცირებული პროფესორი.
- 4. ანასტასია ჩერნეცოვა - მიხეილ ბულგაკოვის პიესის „ივან ვასილევჩის“ ინტერპრეტაცია თბილისის გრიბოედოვის თეატრში.**

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „თეატრმცოდნეობა“, II კურსი.

ხელმძღვანელი: მაია კიკნაძე, ასოცირებული პროფესორი.
- 5. მარიამ მისურაძე - მხატვრული სახე ქორეოგრაფიაში.**

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. დრამის ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი“, II კურსი.

ხელმძღვანელი: ეკატერინე გელიაშვილი, ასოცირებული პროფესორი.

სექცია: მუსიკოლოგია

11.00-12.30

მოდერატორი: ქეთევან გოგოლაძე, ემერიტუს-პროფესორი

1. ანა სტროგანოვა - რენესანსის ეპოქის მუსიკალური გამოცანები.

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკის თეორია“, II კურსი.

ხელმძღვანელი: მარიკა ნადარეიშვილი, ასოცირებული პროფესორი.

2. ანა კვასხვაძე - ოპერის გმირის მხატვრული სახე/ხატის კომპლექსური შესწავლის საკითხისათვის.

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. მუსიკის ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „აკადემიური სიმღერა“, II კურსი.

ხელმძღვანელი: ქეთევან გოგოლაძე, ემერიტუს-პროფესორი.

3. მარიამ ჭიშვილი - ქართული მუსიკის კრიტიკის სათავეებთან (მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პრესის „ცისკარისა“ და „კავკაზის“ მაგალითზე).

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკისმცოდნეობა (მუსიკის ისტორია)“, I კურსი.

ხელმძღვანელი: მარინა ქავთარაძე, პროფესორი.

4. სალომე ჩაჩუა - ჩარლზ აივზის სიმღერები.

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. საშემსრულებლო ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება (სოლო აკადემიური სიმღერა)“, II კურსი.

ხელმძღვანელი: მაია სიგუა, ასოცირებული პროფესორი.

5. თინათინ მაისურაძე - „მუსიკის ახალი რესურსები“: კლასტერი და მისი გენეზისი.

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკის თეორია“, III კურსი.

ხელმძღვანელი: ქეთევან ბოლაშვილი, პროფესორი.

სექცია: მუსიკოლოგია

12.45-14.15

მოდერატორი: თამარ ძველია, მუსიკის ექსპერტი

1. ანნა ნიკოლოზიშვილი - „ვილოს“ ცნება ძველი ქართული პროფესიული მუსიკის კონტექსტში.

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკის თეორია“, III კურსი.

ხელმძღვანელი: თამარ ჩხეიძე, ასოცირებული პროფესორი.

2. ელენე ელიოზიშვილი - ნოდარ მამისაშვილის სამფაზიანი კომპოზიციის სისტემა.

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკის თეორია“, III კურსი.

ხელმძღვანელი: ლეილა მარუაშვილი, პროფესორი.

3. ირაკლი არეშიძე - ქართული კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკა დასავლეთევროპულ კონტექსტში (სულხან ცინცაძის კვარტეტების მაგალითზე).

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „კომპოზიცია“, III კურსი.

ხელმძღვანელი: მარინა ქავთარაძე, პროფესორი.

4. სანდრო წიქორიძე - „ნაკლები ნიშნავს მეტს“ (მინიმალიზმის ესთეტიკა მე-20 საუკუნის ხელოვნებაში).

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „კომპოზიცია“, II კურსი.

ხელმძღვანელი: ლეილა მარუაშვილი, პროფესორი.

5. ირინა დუმბაძე - კონტრკულტურის პარადიგმები და ქართული კონტრკულტურა.

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკისმცოდნეობა (მუსიკის ისტორია)“, I კურსი.

ხელმძღვანელი: მარინა ქავთარაძე, პროფესორი.

სექცია: კულტურის მენეჯმენტი, მედია, განათლება

14.30-16.00

მოდერატორი: სოფიო თავაძე, ასოცირებული პროფესორი

1. მარია ზარიძე - კულტურის სფეროს პროექტები და მათი შესაძლებლობები.

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“, II კურსი.

ხელმძღვანელი: სოფიო თავაძე, ასოცირებული პროფესორი.

2. ქეთევან ჩუთლაშვილი - ანიმაციური კადრებით გადმოცემული ბავშვთა ისტორიები ციფრულ მედიაში.

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტელე-რადიო ჟურნალისტიკა“, II კურსი.

ხელმძღვანელი: ინგა ზოიძე, მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი.

3. მირზა სათმანიძე - პედაგოგიური კვლევის შედეგები სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების სფეროში.

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

ხელმძღვანელი: მაია ჭიჭილეიშვილი, პროფესორი.

4. თამრიკო მესხია - მასწავლებლის პროფესიული განვითარების მართვის თანამედროვე გამოწვევები.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „განათლების ადმინისტრირება“, II კურსი.

ხელმძღვანელი: გიორგი მასალკინი, ასოცირებული პროფესორი.

5. მაკა სულთანაშვილი - აუტიზმი და ხელოვნების სწავლების მეთოდები.

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

ხელმძღვანელი: ია ხასაია, განათლების დოქტორი.

6. ლია კიბაბიძე - დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები. საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოწვევები და მათი მოგვარების მეთოდები.

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

ხელმძღვანელი: ია ხასაია, განათლების დოქტორი.

თეზისები

ხელოვნებათმცოდნეობა

თათია თოფურია

ბათუმი, საქართველო

ბათუმის წმ. ბარბარეს ტაძრის მოხატულობის იდეური გადაწყვეტა

ბათუმის წმ. ბარბარეს ეკლესიის მხატვრობა შესრულებულია 2014 წელს ზურაბ აფხაზავას მიერ. იგი წარმოადგენს თანამედროვე დარბაზული ეკლესიების მოხატულობის ნიმუშს, რომელიც თავისი იკონოგრაფიული პროგრამითა და მხატვრულ-სტილისტური გადაწყვეტით ეფუძნება შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ტრადიციებს.

მოხატულობაში ყურადღებას იქცევს გარკვეულად მოწესრიგებული სტრუქტურა, აგების მკაფიოება, მოცისფრო ლურჯი ფერის დომინირება და ნათელისკენ მიდრეკილი ფერთა გამა.

ანა ჯინჭარაძე

ბათუმი, საქართველო

ურბანული მემკვიდრეობის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის საკითხისათვის

ქალაქის ურბანული მემკვიდრეობის რესტავრაცია-რეკონსტრუქცია დღევანდელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა.

ბოლო წლებში განხორციელდა თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, სიღნაღის და სხვა ქალაქების უბნების რეკონსტრუქცია-რევიტალიზაცია.

მოხსენება ეხება რეკონსტრუქცია-რესტავრაციის სხვადასხვა მიდგომის წარმოჩენას თბილისსა და ბათუმის ზოგიერთი ურბანული უბნის მაგალითზე.

მარი ხოზრევანიძე
ბათუმი, საქართველო

ბათუმის ბულვარის ქანდაკებები

ბათუმის ბულვარი XIX საუკუნის 90-იან წლებში გაშენდა. თანდათან მან შეიძინა სარეკრეაციო მნიშვნელობა. ბულვარის სივრცეში ჩამოყალიბდა ადგილები, როგორც პასიური, ასევე აქტიური დასვენებისთვის. ამის თავისებურებას განსაზღვრავს გამოკვეთილი ლანდშაფტთან და ქალაქის გეგმარებასთან მორგებული სტრუქტურა, ხეივნებისა და ზღვაზე გასასვლელი ხაზების სისტემა, რომელსაც ორგანულად ერწყმის მრავალფეროვანი საფარი.

ბულვარის ამ ესთეტიკურ გადაწყვეტაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქანდაკებაც, რომელთაგან უმეტესობა დეკორატიული ქანდაკების ნიმუშია. ნაშრომში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოდგენილია ბულვარის სკულპტურული დეკორი - საბჭოთა პერიოდიდან დაწყებული, თანამედროვე, უახლესი კინეტიკური ქანდაკებების ჩათვლით.

ქეთი დოლიძე
ბათუმი, საქართველო

არქიტექტურისა და მუსიკის ურთიერთმიმართების შესახებ

სამყარო არსებობს მათთვის, ვისაც მისი წარმოსახვა და აღქმა შეუძლია. სამყარო პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით აერთიანებს სივრცესა და დროში არსებულ ობიექტებს და აკავშირებს მათ ერთმანეთთან. მთელ ამ პროცესში უმთავრესი არის სუბიექტი, რომელიც ქმნის და არსებობს ამ ყველაფრისთვის. სივრცის საინტერესო ნიუანსები სწორედ ადამიანის წარმოსახვაში იქმნება და ხშირია შემთხვევები, როდესაც კონკრეტული დისციპლინები არსებობენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, მაგრამ ასევე რეაგირებენ იმდენად ერთმანეთზე, რომ ყალიბდება ახალი შეხედულებები და მიმართულებები. ასეთივე კავშირშია ერთმანეთთან მუსიკა და არქიტექტურა, რომელთა შორის კავშირი ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდანაა ცნობილი.

თამარ ხვინგია

თბილისი, საქართველო

კოსტუმის სახეები „ვეფხისტყაოსანში“

კაცობრიობის კულტურის ისტორიაში ტანსაცმლის დამზადება-გამოყენება უძველესი და მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ტანსაცმლის ძირითადი ტიპები ისტორიულად იქმნებოდა სამეურნეო-ყოფითი, რელიგიური, სოციალურ-წოდებრივი და ეთნიკური ნიშნების მიხედვით. ადრეული პერიოდის ქართული სამოსის კვლევისა და ისტორიის გაცნობისათვის აუცილებელია მასალათა სრული კომპლექსის შესწავლა. მათ შორის, წერილობითი ძეგლების - მხატვრული, საისტორიო, სამეცნიერო, მემუარულ-აღწერითი, იურიდიული, საღვთისმეტყველო ხასიათის თხზულებების, სადაც საუბარია სამოსის, მისი შემადგენელი ელემენტებისა თუ დასამზადებელი მასალების შესახებ.

სამოსის მრავალი სახეობაა დასახელებული შოთა რუსთაველის უკვდავ პოემაში. პოეტი სამეფო კარის წარმომადგენელთა თუ სხვა პერსონაჟების ჩაცმულობის გადმოცემისას იყენებს როგორც ქართულ, ისე უცხო ტერმინებს - კაბა, ჯუბა, ყაბაჩა, პერანგი, ტყავ-კაბა, ყარყუმნი უსაპრონი, სარტყელი, ქუდი, რიდე, აჯილა, სამკლავე, საღარიბო შესამოსელი, მეფეთა სამოსელი, სამოგზაურო სამოსი და სხვ.

ეკატერინე ყარსელიშვილი

თბილისი, საქართველო

ისლამური ხელოვნების ელემენტები XVIII-XIX საუკუნეების

თბილისის საერო ხუროთმოძღვრებაში

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნა თბილისის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი ხანაა. ამ პერიოდში ფეოდალური ქალაქი ბურჟუაზიულით იცვლება, რაც არაერთ საგულისხმო მოვლენას ბადებს და კითხვებსაც აჩენს. მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია აღმოსავლური გავლენის კვალი თბილისის სამოქალაქო ხუროთმოძღვრების სამკაულში, რომელიც ქართველი და უცხოელი ხელოვნებათმცოდნეების მიერ საფუძვლიანად კულტუროლოგიურ ჭრილში სინქრონული და დიაქრონიული ასპექტებით არ განხილულა. ასევე, არ გამოკვლეულა საკუთრივ არქიტექტურული ფორმების განვითარების ისტორია და XVIII-XIX

საუკუნეების მიჯნის საქალაქო არქიტექტურის სხვადასხვა ასპექტი ფართო, ინტერდისციპლინურ ჭრილში. თუმცა ნათელია, რომ ისტორიული და კულტურული თვალაზრისით, უაღრესად საინტერესო ამ პერიოდის არქიტექტურას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მხატვრული მიდგომების, ესთეტიკის, მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბების კონტექსტში.

თემის მიზანია წარმოვაჩინოთ რა მიმართებაშია XVIII-XIX საუკუნეების მიჯნის ქართული სამოქალაქო არქიტექტურა და მისი უმთავრესი დეკორატიული ელემენტი-ორნემენტი აღმოსავლური ხელოვნების ტრადიციასთან - რაგვარადაა დაკავშირებული უცხოური გავლენები ქართულ ხუროთმოძღვრულ ორნამენტთან და რამ გაანაპირობა ამ პროცესების წარმართვა? საუკუნეების განმავლობაში, ქართული სახელმწიფოს გეოგრაფიული მდებარეობა ორი სამყაროს დასავლეთისა და აღმოსავლეთის შესაყარზე ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა განსხვავებული კულტურული ტრადიციების სინთეზირებისთვის. ამ შემთხვევაში ისტორიულ კონტექსტთან ერთად უმნიშვნელოვანესია შემდეგი საკითხები: როგორ უყურებს რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველო წარსულს, როგორ იაზრებს ის აწმყოს, განიხილავს კულტურულ პროცესებს რუსეთის იმპერიის გუბერნიიდან, თუ კავკასიის გეოპოლიტიკური ცენტრიდან?

ამდენად, ქართულ ხუროთმოძღვრებაში ამ ურთიერთზეგავლენის პროცესის, მისი განვითარების ეტაპების და საბოლოო შედეგის განხილვა უაღრესად საინტერესოდ გვესახება და ვფიქრობთ, უთუოდ მნიშვნელოვანი ცოდნის მომცემი იქნება იმდროინდელი ქართული მხატვრული გემოვნების გაცნობიერებისთვის, რომლის ფორმირებაშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა როგორც დამკვეთის, ასევე ხუროთმოძღვრისა და ზოგადად, საზოგადოებრივმა მსოფლადქმამ.

კვლევა ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი MR-21-628].

ლია შაინიძე

ბათუმი, საქართველო

ჰიპერრეალიზმი ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში

ჰიპერრეალისტური ხელოვნება მხატვრისაგან მოითხოვს წარმოაჩინოს გამოსახულება, როგორც სიცოცხლისუნარიანი ელემენტი. ეს საჭიროებს საგანზე უზარმაზარ ფოკუსირებას, რადგან ყველა დეტალი უნდა იყოს წარმოდგენილი სრული სიზუსტით.

არტისტები თამაშობენ ფერის ინტენსივობით, განათებით, კონტრასტით და სიმკვეთრით, რათა უფრო ნათლად წარმოაჩინონ გამოსახულება, რისი დანახვაც შეგვიძლია შეუიარაღებელი თვალით. ჰიპერრეალისტური ხელოვნება არსებითად არის რეალობის ასახვა და ხშირია შემთხვევები, როცა ნამუშევრის დიფერენცირება შეუძლებელია ორიგინალისაგან.

ჰიპერრეალისტ მოქანდაკეებსა და მხატვრებს საერთო მიზანი აქვთ - ეს არის ყალბი რეალობის შექმნა. ნამუშევრები აგებულია სხვადასხვა მოწინავე ტექნიკის გამოყენებით, როგორცაა დაჩრდილვა და დახვეწილი განათების ეფექტები.

ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად, ხელოვნება წინ მიიწევს. ციფრული ხელოვნება პოპულარული საშუალებაა ჰიპერრეალისტური ნაწარმოებების შესაქმნელად და ის შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა ელემენტებს.

კამერის გამოგონების შემდეგ, პორტრეტისტი მხატვრები თითქმის მოძველებული იყო, რამაც ბევრი აიძულა ფოტოგრაფია ახალ კარიერად მიეღო. მათ, ვინც არჩიეს გაეგრძელებინათ ჰიპერრეალისტური ნახატებისა და ქანდაკებების შექმნა, ისინი იყენებდნენ ფოტოებს, მაგრამ ემინოდათ, რომ მათი ნამუშევრები არასწორად იქნებოდა გაგებული და განიხილებოდა, როგორც იმიტაცია. თუმცა, კამერამ მხატვრებს მიაწოდა იდეები, რამაც გახსნა ექსპერიმენტების ახალი სამყარო.

მაია ასათიანი

თბილისი, საქართველო

ვახტანგ (ბესო ბესელია) და მისი როლი ქართულ მხატვრობაში

მხოსენებაში განხილულია ვახტანგ ბესელიას მრავალმხრივი მოღვაწეობა 1970 წლიდან დღემდე, მისი ნამუშევრები დაზღურ მხატვრობასა და სცენოგრაფიაში, მხატვრის ღვაწლი პედაგოგიური კუთხით, მისი პერსონის, როგორც ავტორიტეტის როლი საზოგადოებრივ საქმიანობაში. თემა წარმოადგენს მცირე კვლევას ვახტანგ ბესელიას შემოქმედებისთვის დამახასიათებელი ასპექტების შესწავლის კუთხით. განხილულია მისი მხატვრობა პერიოდების მიხედვით და უფრო დაწვრილებით – ჟანრული, თემატური, მხატვრულ-ვიზუალური მახასიათებლების მიხედვით.

თემა შეიქმნა მხატვრის ნამუშევრებზე და მასთან ინტერვიუზე დაყრდნობით. ვფიქრობ, ვახტანგ ბესელიას როლი საინტერესოა ქართულ მხატვრობაში და მისი ღვაწლი შესასწავლია მკვლევართა მიერ.

კინომცოდნეობა, კულტურული ტურიზმი

მიჰაელა იაკობი

კლუჟ-ნაპოკა, რუმინეთი

უარყოფითი ქალი პერსონაჟების შეფასება თანამედროვე კინოში

ქალი ანტაგონისტის ცნების ხელახლა განსაზღვრა დღესდღეობით კინემატოგრაფში საკმაოდ პოპულარულ ტრენდად იქცა. ამ ახალი მიმართულების ილუსტრაცია დისნეის ბოლოდროინდელი ფილმებია, რომლებიც ასახავს უარყოფითი ქალი გმირის ჩამოყალიბებას და ამავე დროს, სიღრმეს სძენს მის არქეტიპს.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია უარყოფითი ქალი პერსონაჟების ფიზიკურ რეპრეზენტაციაზე და თვისებებზე, რომლებსაც ადრეულ პერიოდში საზოგადოება არაფემინისტურად თვლიდა. ფემინურობაზე ამ გარდამავალმა შეხედულებამ და ინკლუზიური წარმოდგენის სურვილმა განაპირობა ის, რომ მეტი ყურადღება მიექცა პერსონაჟის მორალური ნაკლის გონივრულ გამართლებას, რაც ქ.ჯ. რობერტსის ცნობილი სიტყვების - „მონსტრები ხდებიან და არა იბადებიან“ გამოძახილია.

ორიგინალური და შთამბეჭდავი ფილმების - „მალეფისენტა“ (2014) და „კრუელას“ (2021) გაანალიზებით, ნაშრომში გამოკვეთილია ბოროტი ქალი პერსონაჟების კომპლექსური ხასიათი მე-20 საუკუნის კინემატოგრაფში.

აიზატ იმანგაზიევა

თურქესტანი, ყაზახეთი

კულტურული და ეთნიკური ტურიზმი თანამედროვე ყაზახეთში

ნაშრომში გაანალიზებულია ყაზახეთში ეთნიკური და კულტურული ტურიზმის განვითარების ამჟამინდელი მდგომარეობა და პერსპექტივები.

ჩვენმა ერმა და ქვეყანამ განვითარების გრძელი გზა განვლო, რაშიც უამრავი ხალხი თუ ტომი იღებდა მონაწილეობას. მათ ევრაზიის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ და ერთ-ერთ უძველეს ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან. აქედან გამომდინარე, ყაზახი ხალხი მდიდარი კულტურის მქონე ერთა შორისაა. მე-20 საუკუნემდე ყაზახური

კულტურა მომთაბარე ხასიათს ატარებდა. მიუხედავად ამისა, მრავალი ათასწლეულის მანძილზე მისი ევოლუციის გზა კომპლექსური და საინტერესო იყო, სხვა ხალხების კულტურების მსგავსად.

დღესდღეობით სახელმწიფო აქტიურად მუშაობს ტურისტული მომსახურებების ხარისხის გაუმჯობესებაზე. კულტურული და ეთნიკური ტურიზმი ყაზახეთში პრიორიტეტულ და იმედისმომცემ სექტორადაა მიჩნეული, თუმცა ამ სფეროს განვითარების ტემპი მაინც დაბალია. ყოველწლიურად იზრდება იმ ტურისტების რაოდენობა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან არა მარტო ღირსშესანიშნაობების ხილვით, არამედ ისტორიული, კულტურული და ეთნონაციონალური ტურებითაც. ყაზახეთს აქვს პოტენციალი, მოიზიდოს ტურისტები, თუკი ამისათვის შექმნის ყველა სათანადო პირობას. ეს კი ძალიან დიდი იმპულსი იქნება ეკონომიკის განვითარებისათვის.

თეატრმცოდნეობა, ქორეოლოგია

ტამანგო ჯღერია

კახაბერ ბრეგაძე

ბათუმი, საქართველო

ქართული პროფესიული სცენოგრაფიის ჩამოყალიბების წინაპირობები

(მე-20 საუკუნის 10-იანი წლები)

მე-19 საუკუნიდან ქართულმა თეატრმა გაიარა ის გზა, რაც ევროპულმა თეატრმა. 80-იან წლებიდან იქმნებოდა მატერიალური, ორგანიზაციული, თეორიული საფუძვლები თეატრის განვითარებისათვის. წინა პლანზე იდგა სპექტაკლის ანსამბლურობის, სცენოგრაფიის, მსახიობის ოსტატობის, ტექნიკური პერსონალის და სხვა სადადგმო საკითხები.

მე-20 საუკუნის დასაწყისში სათეატრო ხელოვნება განვითარების სრულიად განსხვავებულ ეტაპზე გადადის, ყალიბდება ახალი თეატრალური პროფესია – რეჟისორი. აღნიშნულ პერიოდში ქართულ თეატრში მოღვაწეობენ სხვადასხვა უცხოურ თეატრალურ სკოლებში დაოსტატებული რეჟისორები: ალექსანდრე წუწუნავა, ვალერიან შალიკაშვილი, მიხეილ ქორელი, აკაკი ფაღავა და სხვები. განსაკუთრებულ გავლენას

თეატრის განვითარებაზე ე.წ. მხატვლები ახდენდენ. მაგრამ რამდენად იყო თეატრი მზად 10-იანელთა შემოქმედებითი იდეების განსახორციელებლად.

საუკუნეთა მიჯნაზე ევროპულ და რუსულ თეატრში მიმდინარე პროცესები რთულად, მაგრამ თანმიმდევრულად აისახა მე-20 საუკუნის დასაწყისის (განსაკუთრებით, 10-იანი წლების) ქართულ თეატრში. ხოლო კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი ძიებები ზოგადევროპული თეატრის განვითარების მნიშვნელოვან საფუძვლად იქცა.

სოფიკო ნადიბაიძე

თბილისი, საქართველო

**ფსიქოფიზიკური ტექნიკის დახვეწის მეთოდი საშემსრულებლო ხელოვნებაში
(ეჟი გროტოვსკის „ღარიბი თეატრისკენ“ მიხედვით)**

პოლონელმა რეჟისორმა, თეორეტიკოსმა და პედაგოგმა ეჟი გროტოვსკიმ თეატრალურ ხელოვნებაში თამაშის ხერხებისადმი დამოკიდებულება შეცვალა. 1959-1962 წლებში გროტოვსკი ეძებდა ისეთ საშემსრულებლო ტექნიკას, ისეთ მეთოდს, რომელიც გზას გაუხსნიდა მსახიობის შემოქმედებით უნარს. მისი აზრით, მსახიობს უნდა შეეძლოს გადალახოს წინააღმდეგობები, რომლებიც მას მუშაობის პროცესში უშლის ხელს.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია ეჟი გროტოვსკის მიერ მიღებულ სავარჯიშოებზე, რომლებიც მსახიობში ყოველგვარი წინააღმდეგობის დაძლევის უწყობს ხელს. ასევე, განხილული იქნება გროტოვსკის შემოქმედებაში ფსიქოფიზიკური ტექნიკის დახვეწის მეთოდი. გროტოვსკის ხედვა ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომ თეატრი არის სხვადასხვა დისციპლინების კომბინაცია. ერთი მხრივ, „ღარიბი თეატრის“ იდეა მიისწრაფვის, რომ განისაზღვროს, რა განასხვავებს თეატრალურ ქმედებას სხვა კატეგორიის ხელოვნებისაგან. მეორე მხრივ, „ღარიბი თეატრის“ არსი არის დეტალური კვლევა მსახიობისა და მაყურებლის ურთიერთობის. გროტოვსკი მიიჩნევს, რომ მსახიობის პერსონალური ქმედება არის თეატრის ქვაკუთხედი.

სხეულის ენით გაცოცხლებული სარა კეინის „აფეთქებული“

სარა კეინი მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, დიდ ბრიტანეთში შექმნილი, ე.წ. „სახეში მოხლილი თეატრის“ (In-yer-face theatre) ერთ-ერთი გამორჩეული დრამატურგია. 1995 წელს სარა კეინმა დაწერა „აფეთქებული“ - მკვლევრები პიესას, 90-იანი წლების ბრიტანულ თეატრში, ახალი მიმდინარეობის საწყისად მიჩნევენ.

სარა კეინის პიესაში სიყვარული, სიკვდილი, სექსუალური სურვილი, დაუოკებელი ლტოლვა ერთადაა თავმოყრილი. ის ყოველგვარი შელამაზების გარეშე წერს ომის სისასტიკეზე, ადამიანის შინაგან ნგრევასა და ქალთა მიმართ, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ძალადობაზე. პიესის მთავარი საკითხიც სწორედ გენდერი და სექსუალური ძალადობაა, რომელიც ომის პერიოდში უფრო და უფრო ხშირდება. „აფეთქებულის“ პერსონაჟები საკუთარ ქვეცნობიერსა და ცნობიერს შორის იკარგებიან და ფსიქიკა მორყეულები ებრძვიან ეგზისტენციალურ კრიზისს.

1995 წელს „აფეთქებული“ ჯეიმს მაკდონალდმა დადგა როიალ ქორთის თეატრში. სპექტაკლმა მედიისა თუ საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და დიდი გამოხმაურებაც გამოიწვია. წარმოდგენა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს, „სიბინძურების ამაზრზენი დღესასწაულიც“ კი უწოდეს. თუმცა ფაქტია, კეინის პიესა დღემდე აქტუალურია და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის რეჟისორებისთვის კვლავ საინტერესო.

თბილისში, თავისუფალ თეატრში დებიუტანტმა რეჟისორმა სალომე ფილიშვილმა კეინის „აფეთქებულის“ ქორეოგრაფიული ინტერპრეტაცია განახორციელა. რეჟისორი სხეულის ენით გვიყვება ისეთ პრობლემებზე, როგორცაა ძალადობა, სისასტიკე, ჰომოფობია, ადამიანის სულიერი თუ ფიზიკური განადგურება გლობალური ომის ფონზე. ქორეოგრაფიული ინტერპრეტაცია პიესასთან შედარებით ნაკლებად მიიმეა, მაგრამ მაყურებელს დააფიქრებს, უჩენს კითხვებს თუ რას მივყავართ მუდმივი კონფლიქტისაკენ.

**მიხეილ ბულგაკოვის პიესის „ივან ვასილევჩის“ ინტერპრეტაცია
თბილისის გრიბოედოვის თეატრში**

მიხეილ ბულგაკოვის კომედია „ივან ვასილევჩი“, რომელიც 1936 წელს დაიწერა, ბულგაკოვის სიცოცხლეში არც დაუდგამთ და არც გამოუქვეყნებიათ. პიესა საბჭოთა ცენზურამ აკრძალა.

1936 წელს მოსკოვის სატირის თეატრმა, როდესაც პიესა დადგა და გენერალურ რეპეტიცია-ჩაბარებაზე აჩვენა, რომელსაც საბჭოთა კავშირის ე.წ. პარტიული ელიტა ესწრებოდა, სპექტაკლიც და პიესაც აკრძალა.

პირველად „ივან ვასილევჩი“ 1965 წელს გამოქვეყნდა, ხოლო 1973 წელს პიესის საფუძველზე ლეონიდ გაიდაიმ გადაიღო კინოსურათი „ივან ვასილევჩი იცვლის პროფესიას“. საბჭოთა ცენზურა კინო გადაღებებშიც ერეოდა, რის გამოც რეჟისორს არაერთი ეპიზოდის შეცვლა მოუწია.

სსრკ კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც ცენზურა მოიხსნა, რეჟისორებს აღარ უწევდათ კომპრომისებზე წასვლა.

თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსულმა დრამატულმა თეატრმა 2021 წელს, 175-ე სეზონი სწორედ მიხეილ ბულგაკოვის კომედიით „ივან ვასილევჩი,“ გახსნა.

ახალგაზრდა რეჟისორმა ნიკა ჩიკვაძემ პიესის საინტერესო ინტერპრეტაცია შესთავაზა მაყურებელს. სპექტაკლში საუბარია აქტუალურ პრობლემებზე, აქ ისმის მთავარი საკითხი - თუ როგორ ნადგურდება ყველაფერი, როცა ხელისუფლებაში არიან უვიცი ადამიანები.

მარიამ მაისურაძე
თბილისი, საქართველო

მხატვრული სახე ქორეოგრაფიაში

მხატვრული სახის შექმნა ქორეოგრაფიაში არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომლის საშუალებით ვლინდება ქორეოგრაფის ჩანაფიქრი და შედეგად

ნაწარმოებს მაღალმხატვრული ღირებულება ენიჭება. ამასთანავე, გმირის მოქმედებებით, ქცევით და ხასიათით ხელოვანის მსოფლმხედველობა ამოიკითხება და ნაწარმოების იდეა იხსნება.

ქორეოგრაფიული სახის შესაქმნელად მნიშვნელოვანია სიუჟეტის, იდეისა და მუსიკალური მასალის სინთეზი, ისევე როგორც მხატვრული გარდასახვის, პლასტიკის, საცეკვაო ენის, ნახაზისა და მთლიანი საცეკვაო ტექსტის ურთიერთკავშირი.

აღნიშნულ კომპონენტებზე დაყრდნობით, ნაშრომში განხილულია მხატვრული სახის შექმნის სპეციფიკა ქორეოგრაფიაში და დადგმის ხერხები. მაგალითის სახით გაანალიზებულია აკრამ ხანის „ჟიზელი“, სადაც ყურადღება გამახვილებულია როგორც მის შინაარსობრივ მხარეზე, ასევე მსახიობ-მოცეკვავეთა საშემსრულებლო ოსტატობასა და პერსონაჟების ურთიერთდამოკიდებულებაზე. გაანალიზებულია ქორეოგრაფის მიერ მიღებული ორიგინალური გადაწყვეტის გზები და შემოქმედებითი ხერხები, რაც თავის მხრივ ბმამია მხატვრული სახის შექმნასთან და შესაბამისად, ნაწარმოების იდეის გახსნასთან.

თემის განხილვის პროცესში ყურადღება გამახვილებულია ასევე მხატვრული გაფორმების ისეთ კომპონენტებზე, როგორცაა: კოსტიუმი, რეკვიზიტი, აქსესუარი, სცენური განათება, გრიმი, სპეც-ეფექტები და სხვა.

მუსიკოლოგია

ანა სტროგანოვა

თბილისი, საქართველო

რენესანსის ეპოქის მუსიკალური გამოცანები

მოხსენების თემაა რენესანსის ევროპული პროფესიული მუსიკის უაღრესად საინტერესო ფენომენი - მუსიკალური გამოცანა, მისი არსებობის კულტურულ-სოციოლოგიური და მუსიკოლოგიური კონტექსტი.

მუსიკალური გამოცანებისადმი ინტერესი ევროპაში XV საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათანობით ყალიბდება, რამაც XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისისთვის თავისი სირთულის პიკს მიაღწია ფრანკო-ფლამანდიელი კომპოზიტორების შემოქმედებაში. ეს ფენომენი მოგვიანებით გავრცელდა საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთსა და

ინგლისში. მცირე „ჩავარდნის“ შემდეგ, XVI საუკუნის ბოლოდან და XVII საუკუნის პირველ ნახევარში, კვლავ განახლდა ამ ჟანრისადმი ინტერესი.

გამოცანის სტილში დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები მის შესრულებამდე საჭიროებდა ამოხსნას - ნოტაციის გაშიფვრას. კოდირებულ სანოტო ტექსტს თან სდევდა ვერბალური და/ან ვიზუალური მინიშნება კანონი, რომელიც შემსრულებელს უჩვენებდა, რა გზით შეიძლებოდა არასრულად ჩაწერილი სანოტო ტექსტის საბოლოოდ გაშიფვრა. ამ პრაქტიკაში სახეზეა მუსიკისა და ხელოვნების სხვა დარგების (ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება) ინტეგრირება. მათი მნიშვნელობა განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რომელ ჟანრშია გამოყენებული გამოცანა (მესა, მოტეტი, შანსონი), რა წყაროდან (ანტიკური ლიტერატურა, ბიბლია, გამოცანების კრებული), რომელ პერიოდში და ვის მიერ არის ის მიწერილი სანოტო ტექსტში.

კვლევის მიზანია დადგინდეს, რა როლს თამაშობს ვერბალური/ვიზუალური საწყისები რენესანსის მუსიკალური გამოცანის ჟანრში, გაირკვეს მათი როლი და ურთიერთმიმართება ნაწარმოების ფორმის, მუსიკალური ენის თუ საკომპოზიციო ტექნიკის კონტექსტში.

მოხსენებაში რენესანსის ეპოქის სანოტო ნიმუშებზე დაყრდნობით განვიხილავთ: რა იყო მუსიკის გამოცანების სახით ფიქსირების მიზეზი; რა იყო პირველადი - გამოცანა თუ მუსიკა; სანოტო და არასანოტო კოდის ურთიერთქმედების სამ ტიპს.

ანა კვასხვაძე

ბათუმი, საქართველო

ოპერის გმირის მხატვრული სახე/ხატის კომპლექსური შესწავლის საკითხისათვის

ნაშრომში განხილულია ჟორჟ ბიზეს ოპერის მთავარი გმირის - კარმენის მხატვრული სახე/ხატის განვითარების და ჩამოყალიბების პროცესი. ამ მიზნით კომპლექსურადაა შესწავლილი: ოპერის ლიტერატურული პირველწყარო, მუსიკალური ტექსტი და გმირის ფსიქო-ტიპის მახასიათებლები. ასეთი კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავებული მეთოდი საინტერესო იქნება ვოკალური სპეციალობის მუსიკოსებისთვის, დაეხმარება მათ განსასახიერებელი გმირის მხატვრული სახე/ხატის შეცნობაში. მუსიკის მაგისტრისთვის აღნიშნული მეთოდის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოყენება განაპირობებს მაღალი კლასის შემსრულებლის, პედაგოგისა და ხელოვნის ჩამოყალიბებას.

მარიამ ჭეიშვილი
თბილისი, საქართველო

ქართული მუსიკის კრიტიკის სათავეებთან
(მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პრესის „ცისკარისა“ და „კავკაზის“ მაგალითზე)

მოხსენებაში მე-19 საუკუნის პრესის, კერძოდ, ლიტერატურულ ჟურნალ „ცისკარსა“ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული სტატიების, წერილების, რეცენზიებისა და ა.შ. სხვადასხვა პუბლიკაციების მაგალითზე განხილულია ქართული მუსიკალური კრიტიკის საწყისი ეტაპი, მისი სათავეები.

მუსიკალური კრიტიკის კვლევა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც დროთა განმავლობაში თავად მუსიკის კრიტიკის ისტორია იქცევა მუსიკის ალტერნატიულ ისტორიად. საწყის ეტაპზე ქართული ისტორიული მუსიკოლოგიის ჩამოყალიბების პირველი ცდები და ნიშნები სწორედ მუსიკალური კრიტიკა-ჟურნალისტიკის სფეროში უნდა ვეძიოთ, მუსიკოლოგია ხომ ერთი მხრივ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, მეორე მხრივ კი, პრაქტიკულ-გამოყენებით სფეროს, მუსიკის კრიტიკასა და ჟურნალისტიკას გულისხმობს.

ნაშრომის მიზანია, დადგინდეს ქართული პროფესიული მუსიკის საწყის ეტაპზე როგორი სახის, რა ტიპისა და თემატიკის წერილები ქვეყნდებოდა, ვინ იყვნენ მათი ავტორები, როგორ გადმოსცემდნენ ისინი საზოგადოების განწყობილებასა და როგორ გვიხატავდნენ თავიანთი დროის მუსიკალურ-კულტურული ცხოვრების სურათს.

სალომე ჩაჩუა
თბილისი, საქართველო

ჩარლზ აივზის სიმღერები

მოხსენებაში განხილულია ამერიკელი კომპოზიტორის ჩარლზ აივზის სასიმღერო შემოქმედება, კერძოდ კი, მისი კრებულიდან „114 სიმღერა ხმისა და ფორტეპიანოსთვის“ - რამდენიმე ბალადის, სატირული, სასულიერო, საპროტესტო და რომანტიკული სიმღერის თეორიული და საშემსრულებლო ანალიზი.

აივზი, რომელიც ამერიკული პროფესიული მუსიკის ფუძემდებლად ითვლება, მის სიცოცხლის განმავლობაში არასათანადოდ იყო დაფასებული საკუთარსავე სამშობლოში. ზემოხსენებული კრებულის გამოცემა მას თავისი ხარჯებით მოუხდა. არადა, ამ კრებულში

შემავალ სიმღერებში, ისევე, როგორც მის ინსტრუმენტულ მუსიკაში, აივზის თითქმის ყველა ინოვაციაა თავმოყრილი. აივზის შემოქმედების მთავარი ოთხი ნიშანდობლივი ელემენტია: ადგილობრივი ამერიკული მუსიკა (ფოლკლორი, „ჭარგონული“ მუსიკა), პროტესტანტული საეკლესიო მუსიკა, ევროპული კლასიკური მუსიკა და ექსპერიმენტული მუსიკა. კომპოზიტორი იყენებს იმ დროისთვის უახლეს და ჯერ კიდევ უჩვეულო ტექნიკებს და მეთოდებს, მაგალითად კლასტერებს, პოლიტონალობას, ატონალობას, პოლირიტმულობას და სხვ. და ამავე დროს, პირდაპირ და ყურისთვის მარტივად აღსაქმელ ფორმებსაც.

მოხსენებაში საანალიზოდ შერჩეული სიმღერების მაგალითზეც კარგად შეგვიძლია შევიგრძნოთ აივზის შემოქმედებითი სტილის ნიშნები და თავისებურებები. ჩვენი მიზანი იყო, დაგვედგინა ამა თუ იმ სიმღერის შესაბამისობა აივზის შემოქმედების მასაზრობებელ ელემენტებთან, ტექსტისა და მუსიკის, ვოკალისა და აკომპანემენტის ურთიერთმიმართება და ფორმის სპეციფიკურად აივზისეული გააზრება (კუმულატიური ფორმა). როგორც მომღერალი, ასევე ვეხები ამ სიმღერების საშემსრულებლო გამოწვევებსაც.

ჩარლზ აივზის სასიმღერო შემოქმედება საქართველოში ნაკლებად პოპულარულია, თუმცა, დაინტერესებულ მსმენელს პირველივე მოსმენისთანავე შეუძლია მასში ახალი ფერები აღმოაჩინოს.

თინათინ მაისურაძე

თბილისი, საქართველო

„მუსიკის ახალი რესურსები“: კლასტერი და მისი გენეზისი

ჰენრი კოუელი (1897-1965) - ამერიკელი კომპოზიტორი, მწერალი, პიანისტი, გამომცემელი და პედაგოგი, ერთ-ერთ განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მე-20 საუკუნის მუსიკის ისტორიაში. კერძოდ, მის სახელს უკავშირდება სააზროვნო პრინციპების, გამომსახველი ხერხების, ანუ მუსიკალური რესურსების გაფართოება. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა არის „კლასტერი“, რომელიც სწორედ ჰენრი კოუელის შემოქმედებაში იბადება, ყალიბდება და ვითარდება. მან არა მხოლოდ პირველმა გამოიყენა კლასტერი შემოქმედებაში, არამედ, თეორიულადაც დაასაბუთა წიგნში “New Musical Resources” (“მუსიკის ახალი რესურსები”).

კლასტერის არსის და მისი გაჩენის ისტორიული გზის წარმოჩენა არის ჩვენი მოხსენების მთავარი მიზანი, რომლის მისაღწევად საჭიროა წინარე პერიოდის მიმოხილვა, საუბარი იმ ცვლილებებსა და გარდატეხებზე, რომლებმაც განაპირობა მუსიკის ახალი

რესურსების გაჩენა. ყოველივე ეს უმთავრესად დაკავშირებულია სამყაროს მოდელის შეცვლასთან, რაც ახალ შესაძლებლობებსა და ამოცანებს უსახავდა ხელოვანებს. მათმა თამამმა ექსპერიმენტებმა ბიძგი მისცა ახალი გამომსახველ ხერხებსა თუ საკომპოზიტორო ტექნიკის შექმნას და საკუთარ შემოქმედებაში გამოყენებას.

ამგვარად, მოხსენებაში განხილული ძირითადი საკითხები შეეხება: კლასტერის დაბადებას, მის ნაირსახეობებს, ჩაწერისა თუ შესრულების ტექნიკას, კლასტერის მნიშვნელობას სხვადასხვა ნაწარმოებში და სხვადასხვა კომპოზიტორის მიერ მის გააზრებას, კერძოდ იმას, თუ რამდენად მრავალმნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს კლასტერს სხვადასხვა პარამეტრის გათვალისწინებით.

მოხსენების ანალიტიკურ ნაწილში განხილულია კოუელის “Three Irish Legend” („სამი ირლანდიური ლეგენდა“).

დასკვნაში მონიშნულია კლასტერის განვითარების გზა კოუელის თანამედროვე და მომდევნო თაობის კომპოზიტორების შემოქმედებაში.

ანნა ნიკოლოზიშვილი

თბილისი, საქართველო

„კილოს“ ცნება ძველი ქართული პროფესიული მუსიკის კონტექსტში

ძველი ქართული პროფესიული მუსიკა მუსიკისმცოდნეობის ერთ-ერთი, შედარებით ახალი სფეროა. მისი კვლევა გასული საუკუნის 80-იან წლებში, საბჭოთა მმართველობის ნგრევის დროს დაიწყო. ქართული ხალხური მუსიკისგან განსხვავებით, ამ დარგის სიახალგაზრდავის გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ მასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი, ჯერჯერობით, შესწავლილი არ არის. ასეთია, მათ შორის, ქართული საეკლესიო მუსიკის ჰარმონიული სისტემის პრობლემა. დღესდღეობით ბოლომდე არაა შესწავლილი თვით ტერმინების - „კილო“ და „ხმა“ მნიშვნელობა ქართული გალობის კონტექსტში.

მოხსენებაში გთავაზობთ „კილოს“ და „ხმის“ ცნების არსებულ განმარტებებს და მათი მნიშვნელობის დაზუსტებას ძველ პროფესიულ მუსიკასთან მიმართებაში. ამისთვის, განვიხილავ კილოს ტერმინის არსებობას ქართულ ხალხურ მუსიკაში, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ძველ პროფესიულ მუსიკასთან. ამასთანავე, გავითვალისწინებ ქართულ ტრადიციულ მუსიკაში ამ ორი სფეროს გამიჯვნის, კერძოდ კი - მრავალხმიანობის განვითარების განსხვავებული გზის საკითხს, რომელიც პირდაპირ კავშირშია კილოს

განვითარების პრობლემასთან. მოხსენებაში დავყვრდნობი მ.შ. შალვა ასლანიშვილის, კუკური ჭოხონელიძის, დავით შულღიაშვილის და თამარ ჩხეიძის მიერ კილოს საკითხთან დაკავშირებულ კვლევებს. ასევე, განვიხილავ „კილოსა“ და „ხმის“ შესატყვის ტერმინებს - „*მოდუსსა*“ და „*ტონუსს*“ ანტიკური და თანამედროვე მეცნიერების მიხედვით.

საინტერესო იქნება, ერთი მხრივ, ქართული ხალხური და ძველი პროფესიული მუსიკის მრავალხმიანობის შედარება და, მეორე მხრივ, მათი შედარება ევროპულ საეკლესიო მუსიკასთან, ამ ორი ტერმინის გამოყენების თვალსაზრისით. ასეთი დაკვირვება საშუალებას მოგვცემს, რომ ცნება *კილო* ახლებურად იქნას გააზრებული. მოხსენების მიზანს კილოს ტერმინის პრობლემის გადაჭრის და ქართული გალობის კილო-ჰარმონიული ენის კვლევის პროცესში მცირე წვლილის შეტანის მცდელობას წარმოადგენს.

ელენე ელიოზიშვილი

თბილისი, საქართველო

ნოდარ მამისაშვილის სამფაზიანი კომპოზიციის სისტემა

მოხსენების მიზანია გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ნოდარ მამისაშვილის ორიგინალური საკომპოზიტორო სისტემის გაცნობა, რომელიც თეორიული ნაშრომის სახით გამოიცა 1978 წელს, რუსულ ენაზე.

მუსიკის ისტორიას არც თუ მრავლად აქვს შემონახული მსგავსი, ავტორისეული კონცეფციის თეორიული ნაშრომები. ამ კუთხით მოხსენებაში ნახსენებია ა.შონბერგის, ო.მესიანის, პ.ჰინდემიტის თეორიული კვლევები. ამ დიდი კომპოზიტორების გვერდით ნაშრომში განხილულია ნოდარ მამისაშვილის ფუნდამენტური და ნოვატორული საკომპოზიტორო სისტემა, რომელიც შეიძლება მრავალი ახალი კვლევისა თუ შემოქმედებითი იმპულსების გამომწვევი გახდეს.

სტატიაში წამოჭრილი საკითხების წრე უკავშირდება პირველწყაროში მოთავსებული თავების ლოგიკურ თანმიმდევრობას. დასმულ საკითხთაგან ძირითადი აქცენტი გადატანილია როგორც მამისაშვილის კონცეფციის არსის ზოგად დახასიათებაზე, ისე მისი შემადგენელი დებულებების მიმოხილვაზე, რომლებიც წარმოაჩენენ მოვლენის სრულ სურათსა და მნიშვნელობას XX საუკუნის ქართველი კომპოზიტორის ნოვატორული საკომპოზიციო სისტემისა.

ნაშრომში თვალსაჩინოებისათვის მოხმობილია სანოტო და სქემატური მაგალითები.

ქართული კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკა დასავლეთევროპულ კონტექსტში (სულხან ცინცაძის კვარტეტების მაგალითზე)

გოკალური ჟანრებისგან განსხვავებით, საქართველოში ინსტრუმენტულ მუსიკას საფუძველი შედარებით გვიან, დასავლეთევროპული მუსიკის გავლენით, XX საუკუნის 20-იან წლებში ჩაეყარა.

სულხან ცინცაძის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლამდე მას გარკვეული ტრადიციები უკვე ჰქონდა (შ.თაქთაქიშვილის, ნ.გუდიაშვილის, რ.გაბიჩვაძის, ა.შავერზაშვილის შემოქმედების სახით). ქართველი კომპოზიტორები ინტერესს იჩენდნენ კამერული მუსიკის სფეროში, ითვისებდნენ კლასიკური სონატური ციკლის დრამატურგიას, ხალხური მასალის ინსტრუმენტულ მუსიკაში გარდასახვის უნარს. მათ კვარტეტებს, ტრიოებს, კვინტეტებს თავის დროზე საკმაო წარმატება ხვდათ წილად და ზოგიერთმა დღემდე შეინარჩუნა ისტორიული მნიშვნელობა, თუმცა, ქართული მუსიკის ამ ჟანრის ნამდვილი საერთაშორისო აღიარება სწორედ ს.ცინცაძის სახელთანაა დაკავშირებული. თავისი კვარტეტებით მან შექმნა ახალი ქართული კამერული მუსიკის ფენომენი, რითად გაამდიდრა არა მარტო ეროვნული მუსიკალური კულტურა, არამედ აქცია იგი ლოკალურიდან საერთაშორისო მასშტაბის მოვლენად.

ცინცაძის საკვარტეტო ნაწარმოებების მაგალითზე დროში შემჭიდროვებულად შეიძლება დასავლეთევროპულ მუსიკაში ფორმირებული ამ ჟანრის ევოლუციის ისტორიული პროცესის თვალის მიდევნება, რომელიც ბევრ პარალელსა და ასოციაციებს ბადებს. მოხსენების მიზანს წარმოადგენს თვალნათლივ წარმოვაჩინოთ ეს პროცესი სულხან ცინცაძის საკვარტეტო შემოქმედების მაგალითზე, ბარტოკისა და შოსტაკოვიჩის შემოქმედებასთან პარალელების ჭრილში, რაც ინდივიდუალურად ინტერპრეტირებული სახით თავს იჩენს, როგორც დრამატურგიული და ფორმაქმნადობის, ისე საშემსრულებლო ხერხების დონეზე.

სანდრო წიქორიძე
თბილისი, საქართველო

**„ნაკლები ნიშნავს მეტს“
(მინიმალიზმის ესთეტიკა მე-20 საუკუნის ხელოვნებაში)**

ნაშრომში განხილულია მინიმალიზმის, როგორც ხელოვნების მიმდინარეობის, ძირითადი წინაპირობები, კონცეფციები და განვითარების ეტაპები. გამოყოფილია მიმდინარეობის მთავარი მახასიათებლები, რომლებიც ხელოვნების ნებისმიერი დარგისთვის არის დამახასიათებელი. მაგალითისთვის მოყვანილია მხატვრული ლიტერატურა (რეიმონდ კარვერი, სემუელ ბეკეტი), ფერწერა (მარკ როთკო, ფრანკ სტელა), არქიტექტურა (ლუდვიგ მის ვან დერ როე) და მუსიკა (ჯონ ადამსი, ფილიპ გლასი). მინიმალიზმის უნივერსალური ტენდენცია მასალის სიმწირითა და სისადავით მაღალმხატვრული ღირებულების ნიმუშის შექმნა და ღრმა ემოციების გადმოცემაა. ნაშრომში განმარტებულია, რომ მინიმალიზმი თავის თავში აერთიანებს როგორც მსოფლმხედველობასა და ახალ შეხედულებებს ხელოვნების მიმართ, ისე მხატვრული ნიმუშის შექმნის ხერხებსა და ტექნიკებს.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მსჯელობას იმაზე, თუ როგორ აყალიბებდა ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს დასავლეთში გავრცელებული ესთეტიკური თუ სოციალური დისკურსები; მაგალითად, როგორ უარყო მოდერნიზმის ეგზისტენციალური თემებით დაინტერესება, ავანგარდის ექსპერიმენტული მიდგომები და როგორ შეითავსა მინიმალიზმმა ისეთი პოსტ-მოდერნისტული ნიშან-თვისებები, როგორცაა ანტი-ელიტისტური შეხედულებები.

ირინა დუმბაძე
თბილისი, საქართველო

კონტრკულტურის პარადიგმები და ქართული კონტრკულტურა

მოხსენება ეფუძნება ავტორის საბაკალავრო ნაშრომში ჩატარებულ კვლევას მუსიკის მესამე პლასტის - კონტრკულტურის, მენესტრელური კულტურისა და ქუჩის მუსიკის შესახებ; მიმოხილულია კონტრკულტურის წარმოშობის პროცესი დასავლურ სამყაროში,

მემბოხე ახალგაზრდების პროტესტის, „მამებისა და შვილების ომი“ და მისი შედეგი კულტურული რევოლუციის ჭრილში, რომელმაც არაერთი ახალი მიმდინარეობა წარმოშვა ლიტერატურასა და ხელოვნების ყველა დარგში. გავლებულია პარალელები ქართულ რეალობასთან. აღწერილია ქართული „ანდერგრუნდის“ ჩასახვის პროცესი და მისი ადრეული მახასიათებლები, ის იმპულსები, რომლებმაც ხელი შეუწყო ქართული კონტრკულტურის ჩამოყალიბებას და განვითარებას. ქართული კონტრკულტურის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად მოყვანილია ირაკლი ჩარკვიანი და მიმოხილულია მისი შემოქმედების ზოგადი მახასიათებლები - ის, რამაც ხელი შეუწყო მის აღიარებას და რითაც გამართლდა მისი მეტსახელი „მეფე“ ქართული კონტრკულტურის ისტორიაში.

კულტურის მენეჯმენტი, მედია, განათლება

მარია ზარიძე

ბათუმი, საქართველო

კულტურის სფეროს პროექტები და მათი შესაძლებლობები

მოხსენებაში საუბარია რას წარმოადგენს, რა სპეციფიკით ხასიათდება კულტურის სფეროს პროექტები და რაოდენ მნიშვნელოვანია ისინი კულტურის სფეროს განვითარებისა და გაძლიერებისათვის. ასევე, რა როლს თამაშობს ეფექტური კომუნიკაცია საერთაშორისო კულტურის სფეროს პროექტის განხორციელებაში.

პროექტი - ეს არის ნათლად ჩამოყალიბებული ამოცანების, შესასრულებელი საქმიანობების ერთობლიობა. პროექტი დროებითი პროცესია, იგი დროშია განსაზღვრული, შესაბამისად მას აქვს როგორც დასაწყისი, ასევე დასასრული. პროექტის წარმატება მის უნიკალურობას და სარგებლიანობას ეფუძნება. დასახული მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, რომ კულტურის სფეროს პროექტზე მუშაობის პროცესში, პროექტის მენეჯერს მკაფიოდ ჰქონდეს გააზრებული კულტურის სფეროს მრავალფეროვნება და სპეციფიკა.

კულტურის სფეროს პროექტების შესაძლებლობების წარმოსაჩენად, მოხსენებაში საუბარია 2021 წელს განხორციელებულ საერთაშორისო პროექტზე - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი ეგნატე

ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრისა და უკრაინის ქალაქ ლუცკის თეატრ „გარმიდერის“ ერთობლივ პროექტზე „46 შეხება“.

ქეთევან ჩუთლაშვილი

ბათუმი, საქართველო

ანიმაციური კადრებით გადმოცემული ბავშვთა ისტორიები ციფრულ მედიაში

მოხსენების მიზანია ციფრულ მედიაში ინოვაციური ფორმით გადმოცემულ ბავშვთა საკითხების შესწავლა და ჟანრობრივი სტრუქტურის კვლევა. ნაშრომში ასევე განხილული იქნება ბავშვთა უფლებებთან მიმართებაში დღემდე არსებული აქტუალური პრობლემები.

თემა მოიცავს უცხოურ და ქართულ ციფრულ მედიაში დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით გადმოცემულ ბავშვთა ისტორიებს და მათ ჟანრობრივ შედარებით ანალიზს. ნაშრომში წარმოდგენილი იქნება არაერთი პოპულარული ვებ-გვერდი, სადაც აქტიურად თავსდება „ანიმაციური კადრებით“ გადმოცემული ისტორიულ-დოკუმენტური მედია პროდუქტი. აღსანიშნავია, რომ ციფრული მედიის კონტენტის გათვალისწინებით, „ანიმაციური კადრებით“ გადმოცემული რეალური ამბები, რომელებიც ვიზუალური თხრობის თავისებური ხელოვნებითაა გადმოცემული, ქართული რეალობაში დღემდე სიახლეა.

მირზა სათმანიძე

ბათუმი, საქართველო

პედაგოგიური კვლევის შედეგები სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების სფეროში

ნაშრომი ეხება სკოლებში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების მნიშვნელობას: რატომ უნდა ვიცოდეთ ხელოვნება, რატომ მიაჩნიათ იგი მეორეხარისხოვან საგნად, რა უნარებს აწვითარებს ხელოვნება, რა გზით შეიძლება მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა და ინტელექტუალური, შემოქმედებითი, კომუნიკაციური უნარების გამოყენება პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

სახვითი ხელოვნებისადმი ინტერესის გაღვივებისათვის, სასწავლო გარემოს გასაძლიერებლად, მნიშვნელოვანია შემოქმედებითი სიახლეების შეთავაზება, სადაც აქტივობები მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე მათი ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე აუცილებელია სასწავლო-შემოქმედებით პროცესებში მშობლის, პედაგოგებისა და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერა, რათა შევქმნათ ერთი მთლიანი გუნდი, ურთიერთთანამშრომლობით კი შევქმნათ წარმატებული სასწავლო გარემო.

თამარიკო მესხია

ბათუმი, საქართველო

მასწავლებლის პროფესიული განვითარების მართვის თანამედროვე გამოწვევები

ბოლო პერიოდში ქვეყანაში არაერთი რეფორმა განხორციელდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით. შეიქმნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, რეგიონებში დაარსდა განათლების ფონდები, შემუშავდა მოკლევადიანი და ერთწლიანი მასწავლებელთა მომზადების სასერტიფიკატო პროგრამები, მიმდინარეობს მუშაობა მასწავლებლის მომზადების 300 კრედიტიან საგნობრივ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე (მომზადდა და აბიტურიენტთა მიღება გრძელდება დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების 300 კრედიტიან პროგრამაზე), სკოლებში ჩამოყალიბდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მართვის სისტემა, დაიწყო პროექტი „ახალი სკოლის მოდელი“, ამ მიმართულებით არის ცალკეული წარმატებებიც და სხვა.

მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ზოგადი განათლების დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების მიღწევებს. საზოგადოების, სპეციალისტებისა და ექსპერტების ნაწილი თანამედროვე განათლების სისტემაში არსებულ არც თუ სახარბიელო მდგომარეობას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პრობლემაში ხედავენ.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკითხი ერთ-ერთი პოპულარული თემაა დარგის მკვლევარების, სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის. მიუხედავად ამისა, სასკოლო სივრცეში შემუშავებული სტრატეგიებისა და პროგრამების, განხორციელებული ღონისძიებების და შედეგების ანალიზი ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და არ იძლევა პრობლემებში საფუძვლიანად გარკვევის საშუალებას. კვლევის პროცესში შევეცადეთ გამოგვეკვეთა ის ძირითადი მიგნებები, შედეგები და პრობლემები, რომლებიც

გამომდინარეობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლის შიგნით განხორციელებული აქტივობებიდან. რამდენიმე სკოლის მმართველობითი ორგანოებისა და ადმინისტრაციის მართვის მაგალითზე გავაანალიზეთ ის აქტივობები და შედეგები, რომლებიც გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან.

მაკა სულთანაშვილი

ბათუმი, საქართველო

აუტიზმი და ხელოვნების სწავლების მეთოდები

აუტიზტური სპექტრის მქონე მოსწავლეების საჭიროებები და პრობლემები აქტუალური საკითხია დღევანდელ საგანმანათლებლო სივრცეში. საქართველოში ამ მხრივ უამრავ სირთულეს ვაწყდებით, განათლების სისტემა აქტიურად მუშაობს პრობლემების აღმოსაფხვრელად. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ინტეგრირებული საკლასო სივრცის უზრუნველყოფა სასწავლო გარემოში, რომელიც აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, ეტაპობრივად უფრო ეფექტიანად ინტეგრირდნენ კლასებში. ამ მოდელიდან გამომდინარე, ბავშვებს ეძლევათ საშუალება სკოლებში მიიღონ მაქსიმალური მხარდაჭერა იმისათვის, რომ გავიდნენ სასურველ შედეგზე. ინტეგრირებული გაკვეთილის ხელშეწყობის შედეგად, აუტიზმის მქონე მოსწავლეები განათლებას იღებენ თანაკლასელებთან ერთად, სკოლის ხელმძღვანელობისა და მასწავლებელთა მხარდაჭერით. განათლების სამინისტრო აქტიურად მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორცაა სპეციალისტების გადამზადება, სასწავლო მეთოდოლოგიის შემუშავება, სწორად შერჩეული მიდგომებისა და პროგრამის განსაზღვრა.

თემის მიზანია აღვწეროთ აუტიზტური სპექტრის მქონე ბავშვების პრობლემები სასკოლო სივრცეში; განვსაზღვროთ ეფექტური სასწავლო გარემო, მეთოდები და მიდგომები, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ ტიპის ბავშვების განვითარებას და შემდგომში გაუმარტივებს საზოგადოებაში ინტეგრირებას. თემაში განხილული იქნება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილზე აუტიზტური სპექტრის მოსწავლეებთან გამოყენების მეთოდები და მიდგომები.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები.

საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოწვევები და მათი მოგვარების მეთოდები

რა არის დაუნის სინდრომი, რა იწვევს ამ ტიპის დარღვევას და რა არის საჭირო დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ადრეული განვითარებისთვის? აღნიშნული კითხვები აქტუალურად დაისმის საგანმანათლებლო სივრცეში. ჩვენს თემაში ვეცადეთ, პასუხი გაგვეცა ამ და სხვა მნიშვნელოვან კითხვებზე. დაუნის სინდრომის შესახებ საუბრის დროს, უპირველეს ყოვლისა, ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ იგი არის არა დაავადება, არამედ გენეტიკური ცვლილება. ის არ გახლავთ მემკვიდრეობით გადამდები დაავადება, ამასთანავე არ არის დიაგნოზი, რომელიც სამედიცინო პრობლემათა ნუსხაში უნდა გავიაზროთ. ეს არის სოციალური პრობლემა, რომელზეც პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოებას და იმ კონკრეტულ მიკრო სოციუმს, რომელშიც ამ ბავშვის ჩართულობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი. იმისათვის, რომ მათ ვასწავლოთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვისწავლოთ ჩვენ მათთან, მათსავით მათნაირად ცხოვრება.

თემის მიზანია ვისაუბროთ ამ საკითხების ირგვლივ, გავაზიაროთ გამოცდილება, ვისაუბროთ სასწავლო გარემოში არსებული გამოწვევების ირგვლივ, დავსახოთ არსებული პრობლემების მოგვარების ხერხები, მეთოდები და სტრატეგიები; კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი ინკლუზიური განათლების აუცილებლობას. მნიშვნელოვანია, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს მიეცეთ შესაძლებლობა, საფუძვლიანად ჩაერთონ სასწავლო პროცესში, რათა მათ შეძლონ საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაცია.

V International Student Conference

Program

Conference Organising Committee

Maia Tchitchileishvili	Rector of Batumi Art State University, Professor, Chairman of Organising Committee
Gela Beridze	Deputy Head of Administration of Batumi Art State University
Sopio Tavadze	Head of Scientific and Publishing Department of Batumi Art State University, Associate Professor
Salome Chikashua	Specialist of Scientific and Publishing Department of Batumi Art State University
Akaki Mukhashavria	IT Manager

Conference Schedule

May 20

10.45-11.00 - Conference Opening

11.00-12.30 - Sessional Meeting

12.30-12.45 - Break

12.45-14.15 - Sessional Meeting

14.15-14.30 - Break

14.30-16.00 - Sessional Meeting

16.00-16.15 - Conference Summing up and Closing

Time Limit

Presentations - 15 minutes

Discussions - 5 minutes

Georgia, Batumi, № 19/32 Zurab Gorgiladze/Vazha-Pshavela Street

